2023 წლის საქმიანობის ანგარიში

2023 წელს კლუბმა შეიძინა სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, ხელი შეწყო ქალთა გუნდის წარმატებით მომზადების საქმეს , რაც გამოიხატა რამოდენიმეჯერ შეკრების ჩატარებისას.

2023 წელს კლუბმა იასპარეზა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში და აღნიშნული ღონისძიებები დაამთავრა შემდეგი შედეგებით:

1. ქალები - II ადგილი
2. გოგონები-ახალგაზრდული - ჩემპიონი
3. გოგონები-უმცროსი ასაკი - ჩემპიონი
4. ვაჟები-ახალგაზრდული - VI ადგილი
5. ვაჟები-უმცროსი ასაკის - V ადგილი

გოგონათა ახალგაზრდულმა გუნდმა (ჩემპიონი) და მწვრთნელმა მიიღეს შესაბამისი წამახალისებელი ფულადი ჯილდო. ჩვენი კლუბის ქალთა გუნდის შემადგენლობიდან 6 გოგონა (საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობა) მონაწილეობა მიიღო საქართველოს ნაკრების სახელით ევროპის ჩემპიონატში (ბაქო) და ევროპის ერთა თასის გათამაშებაში (კოსოვო). აღნიშნულ ტურნირებზე საუკეთესო სხვადასხვა მატჩებში აქტუირობისთვის გახდნენ : 1. ლიზი ქაჯაია, 2.ანანო გაწერელია, გვანცა რურუა და თეკლა ძამუნაშვილი.

დღესდღეისობით ჩვენი აღზრდილები წარმატებით ასპარეზობენ ევროპის ქვეყნების კლუბებში :

1. უჩა გამზარდია (მაკედონია)
2. გიგა მელიავა (სერბეთი)
3. ქრისტინე ჯავახია (აზერბაიჯანი)